

ვახტანგ მალრაძე

-ზე თუ -ში თანდებული?

ქართულ სალიტერატურო ენაში ხშირად (როგორც ზეპირი, ისე წერიტი მეტყველებისას) თანდებულების არადანიშნულებისამებრ, სხვა შინაარსით გამოყენების შემთხვევები შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ თანდებულებს თავისი კონკრეტული, განსაზღვრული ფუნქციები აკისრიათ, ხშირად ამა თუ იმ თანდებულს რატომღაც სხვა თანდებულის მოვალეობას უთავსებენ (ზოგიერთ შემთხვევაში კალკირების წყალობით), რაც ხელს უწყობს გარკვეულ თანდებულთა არეალის შევიწროებასა და ენაში უმართებულო ფორმების წარმოქმნას.

პრესასა (ძირითადად) თუ მხატვრულ (როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ) ლიტერატურაში მომრავლდა **-ზე** თანდებულის უმართებულოდ გამოყენების შემთხვევები.

ქართულ სალიტერატურო ენაში ზოგი სახელის **-ზე** და **-ში** თანდებულიანი ფორმა ერთი და იმავე დანიშნულებით იხმარება. მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება, მაგალითად: **ზაზარში იყიდა** და **ზაზარზე იყიდა**, **გზაში ეყარა** და **გზაზე ეყარა...** [ქსკს, VII 1985]. საჭიროა ყოველი კონკრეტული თანდებულიანი სახელისათვის ბუნებრივი, მართებული და არაბუნებრივი, უმართებულო კონტექსტების წარმოჩენა და, შესაბამისად, სალიტერატურო ენაში არსებული დარღვევების თავიდან აცილება.

ამისათვის, პირველ ყოვლისა, გავიხსენოთ, რომ **-ზე** თანდებული მიცემით ბრუნვას დაერთვის, მიუთითებს რამეზე ზემოთ მყოფობას და მიუგებს კითხვებზე: **რაზე** და **ვისზე** [შანიძე 1953]. თუმცა მისი ეს ფუნქცია ზოგჯერ უარყოფილია და უმართებულო ფორმებიც შემოდის ენაში.

ა) **მაგისტრატურაში** და არა მაგისტრატურაზე

მასმედიის სხვადასხვა ორგანოში (გარკვეული კონტექსტის გათვალისწინებით) ხშირად ხმარობენ მაგისტრატურას **-ზე** თანდებულის გამოყენებით. მაგალითად:

„...კარგი შედეგები მაქვს... **მაგისტრატურაზე** ვსწავლობ“ („თბილისელები“); „ახლა ვფიქრობ, **მაგისტრატურაზე** რა მიმართულებით წავიდე“ („სარკე“); „ძალიან მინდა, **მაგისტრატურაზე** სწავლა იტალიაში გავაგრძელო“ (იქვე); „...საქართველოში დავბრუნდი და აქ **მაგისტრატურაზე** ჩავაბარე“ (იქვე); „...ჩავაბარე და დღესაც **მაგისტრატურაზე** ვსწავლობ“ (იქვე); „... მაიკო ბოკერია **მაგისტრატურაზე** სწავლობდა, თან პრაქტიკებსაც გადიოდა...“ (იქვე); „ახლა მუშაობს, **მაგისტრატურაზე** სწავლობს და ვარჯიშობს“ (იქვე); „**მაგისტრატურაზე** ვსწავლობ ჟურნალისტიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტზე“ (იქვე); „შემოსავლების სამსახურში მუშაობს, **მაგისტრატურაზე** სწავლობს“ (იქვე); ნიკუშა ჯერჯერობით სწავლობს და **მაგისტრატურაზე** აპირებს სწავლის გაგრძელებას (იქვე); „...სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტი დავამთავრე, ახლა **მაგისტრატურაზე** ვსწავლობ (იქვე)...

უმაღლესი სასწავლებლის (უნივერსიტეტის) მაგისტრატურა სამეცნიერო-კვლევითი ან პედაგოგიური საქმიანობისათვის ამზადებს მაგისტრანტს – ანუ პირს, რომელიც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობს. უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ახალ რეფორმამდე გვქონდა ასპირანტურა. ახალმა სიტყვამ (მაგისტრატურა) ანალოგიით ისეთივე თანდებულები მოითხოვა კონტექსტის მიხედვით, როგორც ჰქონდა ძველს (ასპირანტურა) და, შესაბამისად, დამკვიდრდა ბუნებრივი გამოთქმები: ასპირანტურაში / მაგისტრატურაში ჩააბარა, ასპირანტურაში / მაგისტრატურაში სწავლობს, ასპირანტურაში / მაგისტრატურაში აგრძელებს სწავლას....

„გაისად ვამთავრებ უნივერსიტეტს და **მაგისტრატურაში** გავაგრძელებ სწავლას“ („თბილისელები“); „...შემდეგ კი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, კავკასიის **მაგისტრატურაში** ჩავაბარე“* („გზა“); „**მაგისტრატურაში** ვაპირებდი სწავლის გაგრძელებას“ („რეიტინგი“); „მარიამმა სწავლა **მაგისტრატურაში** უნდა გააგრძელოს“ („სარკე“); „ამჟამად არ მუშაობს, **მაგისტრატურაში** ჩაბარებას აპირებს“ (იქვე); „კოკო ახლა აბარებს **მაგისტრატურაში**...“ (იქვე); „წელს ვამთავრებ და მერე **მაგისტრატურაში** ვაბარებ“ (იქვე); „მომავალში კი ვაპირებ **მაგისტრატურაში** სწავლას“ (იქვე); „ცოტა ხანში სწავლაც შეწყება, წელს კონსერვატორიის **მაგისტრატურაში** ჩავაბარე“ (იქვე)...

* წინადადება სტილისტიკურად გაუმართავია: არ არსებობს კავკასიის მაგისტრატურა, არის კავკასიის უნივერსიტეტი, ბიზნესსკოლა...

ქართული ენისათვის დასახელებულ კონტექსტებში ბუნებრივია, მართებულია მიცემითი ბრუნვა, ოღონდ **-ში** თანდებულის გამოყენებით.

რაც შეეხება – დოქტორანტურას, ეს სიტყვა მართებული ფორმითაც გვხვდება და უმართებულოთიც (შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით):

„კავკასიის ბიზნესსკოლის **დოქტორანტურაშია**“ („ჟურნ. „სარკე“)...

მაგრამ:

„საპატრიარქოს უნივერსიტეტში **დოქტორანტურაზე** სწავლობს“ („სარკე“)...

აღნიშნული ცდომილების მიზეზი შეიძლება ანალოგიითაც ავხსნათ: **ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობ** („გზა“)... **ფაკულტეტი** და **მაგისტრატურა** ერთ სიბრტყეზე დააყენეს, გააიგივეს და თუ შეიძლება ფაკულტეტზე ჩაბარება/სწავლა, მაშინ მისაღებია მაგისტრატურაზე ჩაბარება/სწავლაცო.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული ენისათვის მისაღები, მართებული ფორმაა **მაგისტრატურაში/დოქტონატურაში** ჩავაბარე / ვსწავლობ/ვაგრძელებ სწავლას...

ბ) სწავლა შეიძლება **კათედრაზე** თუ **ფაკულტეტზე**?

„ზურაბ წერეთლის **კათედრაზე** ვსწავლობდი“ („სარკე“).

კათედრის ოთხი მნიშვნელობიდან ჩვენთვის საინტერესოა მეორე – საბჭოთა კავშირში უმაღლეს სასწავლებლებში: ერთი ან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული რამდენიმე სამეცნიერო დისციპლინის პროფესორ-მასწავლებელთა მეცნიერ-მუშაკთა **გაერთიანება** [ჭაბაშვილი 1986].

ფაკულტეტი კი უმაღლესი სასწავლებლის განყოფილებაა, რომელზედაც **ასწავლიან** გარკვეულ მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებს [იქვე].

როგორც წარმოდგენილი განმარტებებიდან აშკარად ჩანს, სწავლა-განათლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ფაკულტეტზე და არა კათედრაზე, სადაც სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს.

შემდეგ მაგალითში ფაკულტეტი, მართალია, სწორადაა გამოყენებული, მაგრამ კათედრა ისევ შეცდომით გვხვდება.

„სანამ მსახიობი გახდებოდა, მარიამმა უნივერსიტეტის ფაკულტეტზე ხელოვნებათმცოდნეობის კათედრა დაამთავრა“ („სარკე“).

შემდეგ შემთხვევაში – „დამამთავრებელ კლასში კი გამოაცხადა, **თეატრალურზე** უნდა ჩავაბაროო“ („სარკე“) – წინადადებაში გამოტოვებულია ინსტიტუტი. მასასადამე, მსაზღვრელ-საზღვრულის მეორე კომპონენტი (საზღვრული) ჩავარდნილია და მისი ფუნქცია პირველმა კომპონენტმა (მსაზღვრელმა) იკისრა. მაგრამ **-ში** თანდებული, რომელიც შინაგან სივრცეს ვარაუდობს (უნდა ყოფილიყო ინსტიტუტში), უმართებულოდ **-ზე** ჩაენაცვლა (რომელიც ზედაპირზე მყოფობის აღმნიშვნელია). ამდენად, მართებულია **თეატრალურში** – ანუ **თეატრალურ ინსტიტუტში**.

„შეეძლო **არქიტექტორულზე** ჩაებარებინა, სამხატვრო აკადემიაში...“ („სარკე“); „ლევანს ახლობელი ჰყავდა, რომელიც **სამსახიობოზე** სწავლობდა (იქვე); „...სწავლობს ტელერადიოგადაცემების წამყვანი **ჟურნალისტის სპეციალობაზე**“ („თბილისელები“)..

პირველ შემთხვევაში იგულისხმება **არქიტექტურის**, ხოლო მეორეში – **სამსახიობო ფაკულტეტზე** ჩაბარება – აქაც ანალოგიური ვითარებაა, ჩავარდნილია **ფაკულტეტი** და მისი ფუნქცია მსაზღვრელმა იკისრა. ბოლო მაგალითში კი მითითებულია უკვე სპეციალობა.

ქვემოთ წარმოდგენილ შემთხვევაში კი უნდა გვონდეს **ფერწერის კურსებზე**:

„...ჩემით გამეონდა თავი. მოსწავლეები ავიყვანე სახლში **ფერწერაზე**“ („სარკე“).

გ) **ვილაში** და არა ვილაზე, **ბინაში** და არა ბინაზე, **ხეობაში** და არა ხეობაზე, **პლანტაციამი/ბაღში** და არა პლანტაციაზე/ბაღზე, **უბანში** და არა უბანზე... ქვემოთ წარმოდგენილი კონტექსტების გათვალისწინებით.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში რუსულის გავლენა ქართულ ენაზე ძალზე დიდი იყო. ამის შედეგად ქართულში შემოვიდა არაერთი უმართებულო ფორმა, კალკი თუ ბარბარიზმი. ამ კონკრეტულ შემთხვევებშიც სწორედ **-ზე** თანდებულის არაბუნებრივ გამოყენებაზე გვექნება საუბარი. რუსულის წამხედურობით ქართულში

ხშირად გვხვდება -**ში** თანდებულის ჩანაცვლება -**ზე**-თი: ვილაზე, ბინაზე, პლანტაციაზე, ხეობაზე...

„...სენ-კლოში მდებარე **ვილაზე**... არავის მოუნახულებია“ (გ. ჩიქობავა, თარგმ.); გავრცელებული ინფორმაციით, სიღვიოსთან ერთად **ვილაზე** ჩეხი... პოლიტიკოსი იმყოფებოდა“ („თბილისელები“); „...მას შემდეგ ისინი დროის უმეტეს ნაწილს ტრამპის **ვილაზე** ატარებენ...“ (იქვე); „...ფოტოები... პრემიერმინისტრის **ვილაზე**... არის გადაღებული“ (იქვე); „ამ **ვილაზე** ბერლუსკონის ორგები იმართებოდა“ („რეიტინგი“); „...თავის **ვილაზე** მან სტუმრებისათვის ფასიანი ტაქსოფონი დააყენა...“ (იქვე); „...რუბი ამტკიცებდა, რომ ბერლუსკონის **ვილაზე** გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე ჯორჯ კლოუნიც ნახა“ (იქვე); „**ვილაზე** მისულები თავიანთ ოთახებში ჩაიკეტნენ...“ („სარკე“); „ტურისტებს საშუალება ექნებათ, წყალქვეშა **ვილაზე** დაისვენონ“ (იქვე); „-კარგი, ის თუ შეგიძლია, რომ **ვილაზე** მესტუმრო?“ (იქვე); დოკუმენტურად ცნობილია, რომ ხანძრის დროს ნერონი თავის **ვილაზე** ანტიუმეში იმყოფებოდა“ („იდუმალების სამყაროში“).

მეტი სიცხადისათვის ზედმეტი არ იქნება, დავაზუსტოთ, თუ რას ნიშნავს ვილა. **ვილა არის შენობა, კერძო სახლი, მდიდრული აგარაკი ქალაქგარეთ** [ჭაბაშვილი 1986], რომელშიც (და არა რომელზეც) შეიძლება იმყოფებოდეს ადამიანი. ბუნებრივია, დასასვენებლად, სტუმრად, დროის გასატარებლად, გასართობად მიდიან **ვილაში** და არა ვილაზე. ეს არასწორი ფორმა რუსულის კალკია: *приехал на вилле, отдыхал на вилле, находился на вилле*... სწორედ ამის მიმსგავსებითაა მიღებული ზემოთ აღნიშნული უმართებულო შემთხვევები.

მართებულ ფორმებსაც ხშირად ვხვდებით:

„...ორჯერ მე ვესტუმრე იტალიაში, **ვილაში**...“ (ნ. ფავლენიშვილი, თარგმ.); „...შარლიზი პენის **ვილაში** ცხოვრობდა...“ („რეიტინგი“); „...ვრის იუბენმა მეუღლეს კი არ მიაშურა... არამედ სოფელში, თავის **ვილაში** გაემგზავრა“ („თბილისელები“); „ერთ მშვენიერ დღეს **ვილაში**... რაშელი დაადგა თავზე...“ („სარკე“); „ინციდენტი მარსელში, სპორტსმენის **ვილაში** მოხდა“ (იქვე); „ერთხანს მარკოსის ფეშენებელურ **ვილაში** ცხოვრობდა...“ (იქვე)...

შეიძლება ითქვას, რომ კანონზომიერ ფორმებს დარღვევის შემთხვევები გაცილებით სჭარბობს.

საინტერესო ფაქტია, რომ ერთსა და იმავე ბეჭდვით ორგანოში (რომანსა თუ სტატიაში) პარალელურად ვხვდებით ორივე ფორმას – მართებულსაც და უმართებულოსაც:

„...კრის იუბენკმა მეუღლეს კი არ მიაშურა... არამედ სოფელში თავის **ვილაში** გაემგზავრა“ („თბილისელები“), შდრ.: „...მას შემდეგ ისინი დროის უმეტეს ნაწილს ტრამპის **ვილაზე** ატარებენ“ (იქვე)...

როგორც ითქვა, **-ზე** თანდებულით **-ში** თანდებულის ჩანაცვლება რუსული ენის გავლენითაა გამოწვეული, კალკს წარმოადგენს და უარსაყოფია. რუსულ ენაში ადგილისა და სივრცის აღნიშვნისას **на** თანდებული **в-**ს ფუნქციითაც გამოიყენება (жить **на** вилле, прийти **на** квартире, отправиться **на** Кавказ, идти **на** работу) [რუს. 1986]. ქართულ ენაშიც (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ) **-ზე** და **-ში** თანდებულები გარკვეულ შემთხვევაში ერთმანეთს ფარავენ, ერთმანეთს ენაცვლებიან, მაგრამ არა აღნიშნულ კონკრეტულ მაგალითებში. დასახელებულ ფორმებში მართებული იქნებოდა არა **-ზე**, არამედ **-ში** თანდებულის გამოყენება.

ასეთივე სიტუაციაა შემდეგ მაგალითებშიც:

„შეიძლება ის განზრახული ვახშამი სხვა **ბინაზე** ყოფილიყო მოწყობილი“ (ალ. იასალაშვილი); „...მან ხუტა გაწერლია ნახა იმავე **ბინაზე** მია მაკარისთან ერთად...“ (იქვე); „...თვითონაც გადაწყვიტა, აღარ მისულოყო დაპირებულ **ბინაზე**, მაგრამ მათემ დაამშვიდა“ (იქვე); „პარიზის პოლიციის ორ თანამშრომელს **ბინაზე** მიუკითხებია“ (მ. ხურციძე); „შენ კომისართან ცხოვრობ **ბინაზე**“ (იქვე); „...შეიძლება მსუბუქი დაზიანება მიიღო, იქნებ ვინმეს **ბინაზეა**, ისევე როგორც მე ვიყავი იმ ხალხთან“ (იქვე); „ავალ და მიულოცავ ახალ **ბინაზე** გადასვლას“ (ნ. დუმბაძე); „მოსამართლეს ყოველ წუთს უნდა ახსოვდეს შინ, **ბინაზე** საწოლის თავით რა იყო...“ („სალიტერატურო გაზეთი“)...

ბინის განმარტება ზედმეტად მიგვაჩნდა, მაგრამ მაინც აღვნიშნავთ: **ბინა** არის ცალკე საცხოვრებელი სადგომი სახლში [ქეგლი 1986]. ბუნებრივია, მისვლა, ცხოვრება, ვახშამი... შესაძლებელია **ბინაში** და არა ბინაზე.

შემდეგი ამონარიდიც სტილისტიკურად გაუმართავია:

„...საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში **კალოს უბანზე** ვიკრიბებოდი“ („გზა“).

უბანი ქალაქის ან სოფლის ერთ-ერთი კუთხე, ნაწილია [ქეგელი 1986]. ამდენად, აქაც არა აქვს გამართლება უბანზე ფორმის გამოყენებას. რა თქმა უნდა, კონტექსტის მიხედვით მართებულია **კალოსუბანში***.

ანალოგიური ვითარებაა შემდეგ მაგალითებშიც:

„...მაგ დროისათვის აქედან შორს, კაუჭუკის **პლანტაციებზე** ვიქნები“ (ნ. ფავლენიშვილი, თარგმ.); „ინდიგოს **პლანტაციაზე** გახურებული მუშაობაა“ (პ. შარია, თარგმ.); „მას შემდეგ, რაც **პლანტაციაზე** მივედი, აღარ დაგვიხანებია...“ (იქვე); „...ფორტში საკმაოდ სუსტი გარნიზონი რჩებოდა, **პლანტაციაზე** კი გაჩნდა ახალი სიმაგრე“ (იქვე)** ...

პლანტაცია არის მიწის დიდი ნაკვეთი, სადაც მოჰყავთ სპეცი-ალური სასოფლო-სამეურნეო კულტურა [ქეგელი 1986]. მუშაობა (= მოსავლის აღება, კულტივაცია...), მისვლა, აშენება (რაიმე ნაგებობისა) შესაძლებელია პლანტაციაში (და არა პლანტაციაზე). მართებული მაგალითია:

„...მატარებელი... ერთგვაროვან ბანანის **პლანტაციებში** ჩაინთქა“ (ლ. ზურებიანი, თარგ.).

პლანტაცია, ბადი, ყანა არის ტერიტორია, ფართობი და, ამდენად, მოითხოვს არა **-ზე**, არამედ ისევ **-ში** თანდებულს შესაბამის კონტექსტებში.

მიუღებელი ფორმაა:

„...გადავწყვიტეთ, ექსკურსია მოვაწყოთ თემის **ხეობაზე**“ (ე. მაისურაძე); „ყოფილხართ თემის **ხეობაზე**?“ (იქვე).

ხეობა არის ადგილი წყალგამყოფ მთებს შუა, სადაც მდინარე მიედინება [ქეგელი 1986] და ასევე მთელი მისი მიმდებარე ტერიტორია. მაგალითად: ბორჯომის ხეობა, ბაწარას ხეობა, კოდორის ხეობა, პანკისის ხეობა...

ბუნებრივია, **ხეობა** ჩავარდნილი ადგილია. ამდენად, ხეობაზე შეიძლება გადაიფრინო, მაგრამ ექსკურსია, ლაშქრობა, პიკნიკი უნდა მოეწყოს **ხეობაში**. **-ზე** თანდებულის მართებულად გამოყენება შეიძლებოდა მთასთან, მწვერვალთან, ზეგანთან მიმართებით (მაგრამ არა ხეობაზე).

* ცალკე მსჯელობის საგანია, თუ რატომ უნდა დაიწეროს **კალოსუბანი** ერთად.

** სიტყვა „პლანტაციის“ **-ზე** თანდებულიანი ფორმა ამ თარგმანში კიდევ ათჯერ გვხვდება არასწორად.

დ) **ბაჰამზე, მალდივებზე, ჰავაიზე** (კუნძულები), მაგრამ არა **კუბაზე, ფილიპინებზე, ფიჯიზე** (სახელმწიფოებში).

საზღვრული სიტყვის ჩავარდნისას მის ფუნქციას კისრულობს მსაზღვრელი (იქნება ეს ატრიბუტული თუ მართული), მაგ.: **წითელ-მა არმიამ** კოჯორთან შეუტია ქართველ კადეტთა მცირერიცხოვან ჯარს; **წითლებმა** უმოწყალოდ ამოხოცეს სამშობლოს პირტიტველა დამცველები.

ასევეა მართული მსაზღვრელის შემთხვევაშიც:

*„...პოლკოვნიკი ვარ და **ბაჰამზე** მომუშავე ჯგუფს ვხელმძღვანელობ“ („სარკე“); „როგორც ვიცი, **იბიცაზე** იყავით“ („თბილისელები“); „რა რეაქცია ჰქონდა ახალგათხოვილ სალომე ბაკურაძეს **იბიცაზე**?“ (იქვე); „მეგობრებთან ერთად **იბიცაზე** დაისვენა“ („სარკე“); „**მალდივებზე** წყლის ქვეშ ... მდებარეობს მსოფლიოში პირველი წყალქვეშა რესტორანი“ („რეიტინგი“); „**მალდივებზე** ვიყავი და დღემდე მაქვს შენახული თეთრი ქვიშა“ („თბილისელები“); „რაფაელ ნადალი შეყვარებულთან ერთად **მალდივებზე** სიცოცხლით ტკბება“ („სარკე“); „არც ისე დიდი ხნის წინ შეყვარებულები **ჰავაიზე** იმყოფებოდნენ“ (იქვე); „...ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, როდესაც ისინი ერთად გაემგზავრნენ **ჰავაიზე**“ (იქვე)...*

აქ უდავოდ იგულისხმება ბაჰამის, იბიცის, მალდივის, ჰავაის კუნძულები. კუნძული ჩავარდა და საზღვრულის თანდებული დაირთო მსაზღვრელმა ჰავაიმ... (ჰავაის კუნძულები → ჰავაიზე...) და სავსებით მართებული ფორმა მოგვცა. ასეთივე ვითარებაა დანარჩენ მაგალითებშიც.

რაც შეეხება კუნძულ-სახელმწიფოებს: კუბას, მალტას, ფილიპინებს, ფიჯის... – ეს სახელწოდებები ერთდროულად მიუთითებს არა მხოლოდ კუნძულს, არამედ სახელმწიფოებსაც და თუ ეს უკანასკნელი იგულისხმება, მაშინ **-ზე** თანდებულის გამოყენება უმართებულოა.

*„მრავალი წლის შემდეგ ფიდელიტო სოციალისტურ **კუბაზე** ატომური ენერჯის სააგენტოს ჩაუდგა სათავეში“ („რეიტინგი“); „როდესაც 1960 წელს ფიდელო კასტრომ **კუბაზე** ხელისუფლება აიღო ხელში, ჰემინგუეი... ამერიკაში დაბრუნდა“ (იქვე); „**კუბაზე** მომხდარი რევოლუციის გამო მერი და ერნესტი კეტჩერს გადასახლდნენ“ („TV პროგრამა“); „წელს საბავშვო ეროვიზიის ფინალური შოუ 22 ნოემბერს **კვიპროსზე**... გაიმარ-*

თება“ („სარკე“); „...ჩვენს ერთ-ერთ მეგობარს **გოაზე** სახლი აქვს“ („რეიტინგი“)...

მოყვანილი მაგალითები აშკარად მიუთითებენ, რომ კუბა ამ კონკრეტულ შემთხვევაში არის ქვეყანა და კონტექსტიდან გამომდინარე – **ში** თანდებულს მოითხოვს. შესაბამისად, უნდა იყოს ამგვარად:

სოციალისტურ **კუბაში** ატომური ენერჯის სააგენტოს ჩაუდგა სათავეში; **კუბაში** მომხდარი რევოლუციის გამო მერი და ერნესტი კეტჩემს გადასახლდნენ; ჩვენს ერთ-ერთ მეგობარს **გოაში** სახლი აქვს...

აქვე აღვნიშნოთ, რომ **გოა** სახელმწიფოს არ წარმოადგენს, მაგრამ ინდოეთის ტერიტორიაა, ერთ-ერთი პროვინცია და აქაც გაუმართლებელია **-ზე** თანდებულის დართვა.

მართებულ შემთხვევასაც ვხვდებით:

*„მე წარმოშობით... ვარ გუჯრატის შტატიდან. აი, **გოაში** კი სხვანაირი ტრადიციებია...“ („გზა“).*

ზოგ შემთხვევაში ძნელია გარკვიო, გეოგრაფიული სახელი სახელმწიფოა თუ კუნძული, რაც ორაზროვნების გამოწვევის მიზეზი შეიძლება გახდეს და ეს ერთეული შემთხვევა როდია:

*„მამა ბუში, შულცი, გორბაჩოვი და შევარდნაძე **მალტაზე** შეხვდნენ ერთმანეთს...“ („თბილისელები“); „**ფილიპინებზე** გიგანტი ნიანგი შეიპყრეს“ („სარკე“); „**ფილიპინებზე** ზოოპარკის სტუმრებს გველებით მასაჟს სთავაზობენ“ (იქვე); „მელ გიბსონი **ფიჯიზე** დაიძალა“ („TV პროგრამა“); „გელოვანმა **კუბაზე** 16 წელიწადს ... იმუშავა...“ („თბილისელები“); „ვიცე-პოლკოვნიკი უკვე 8 წელი მუშაობდა **კუბაზე**“ (იქვე); „როგორც ამბობენ, **კუბაზე** ბევრი ამერიკელი აგენტია“ („სარკე“); „...კასტროს ჰყავს კიდევ ერთი შვილი... რომელსაც **კუბაზე** იცნობენ, როგორც „ამპაროს“ (იქვე); „ბერძნებს თევზი **კუბაზე** გააქვთ და საკმაოდ სარფიანადაც ყიდიან“ (იქვე); **კუბაზე** ძნელია, შავი მაგიის არ გკეროდეს“ („რეიტინგი“); „1939 წელს **კუბაზე** გადავიდა და იქ განაახლა ლიტერატურული მოღვაწეობა“ (იქვე); „მეორედ **კუბაზე** ოცი წლის შემდეგ მოვხვდი“ („გზა“); „ერთმა ახალგაზრდამ გვკითხა, – **კუბაზე** წასვლა ხომ არ გინდაო?“ (იქვე); „ისინი **კუბაზე** მამულ „ფინკა ვიხიაში“ დაბინავდნენ“ („TV პროგრამა“)...*

დასახელებულ შემთხვევებში გამოყოფილი ფორმები შეიძლება გულისხმობს როგორც სახელმწიფოს, ასევე – კუნძულს, ამიტომ

ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მთელი ტექსტის მეტი ყურადღებით წაკითხვა.

ზოგჯერ პირდაპირაა მითითებული, რომ აღნიშნული სიტყვა კურძულია:

„წყვილმა თავლობის თვე მალდივის კუნძულებზე გაატარა“ („გზა“); „კუნძულ იბიცაზე გოგონა კლდიდან გადავარდა“ („სარკე“); „იბიცაზე მოვხვდი თუ არა, მაშინვე ვთქვი, ბედნიერების კუნძულია-მეთქი“ (იქვე); „ერთი წელი დანიშნულები ვიყავით და შემდეგ კარიბის კუნძულებზე დავქორწინდი“ (იქვე); „მშობლებმა ახალშეუღლებულებს კუნძულ ფიჯიზე დასვენება აჩუქეს“ (იქვე)...

გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როდესაც **-ში** უმართებულოდაა ჩანაცვლებული **-ზე**-თანდებულებით:

„ვულკანური სამოთხე კარიბებში“ („სარკე“).

საინტერესოა, რომ ზოგჯერ არათუ ერთსა და იმავე ბეჭდურ ორგანოში, არამედ ერთ სტატიისშიც კი არაერთგვაროვნება გვაქვს:

„...ფიჯის კუნძულებზე დაიწყო გადასახლება...“ და დღეს ფიჯიში... დიდად ფასობს პურის ხე...“ („სარკე“).

„ჩვენს ერთ-ერთ მეგობარს გოაზე სახლი აქვს და „...სახლი ჩრდილოეთ გოაში ერთ-ერთ რაიონში მდებარეობდა“ („რეიტინგი“)...“

მართალია, მწერალს, მთარგმნელსა თუ ჟურნალისტს გამოხატვის სრული თავისუფლება აქვს, მაგრამ – არა კალკების, ენის ნორმების დარღვევისა და უგულებელყოფის ხარჯზე.

ლიტერატურა

რუს. 1986 – Словарь русского языка, Т. II, Москва.

ქეგლი 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

ქსკს 1985 – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეშვიდე, თბილისი.

შანიძე 1953 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

ჭაბაშვილი 1986 – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

წყაროები

ბონი 2014 – თ. ბონი, „ოცნებების ძიებაში“, თბილისი.

„გზა“ – ჟურნ. „გზა“, NN 50, 52, 53. 2013; NN 1, 4. 2014.

დუმბაძე 1960 – ნ. დუმბაძე, „სოფლელი ბიჭი“, თბილისი.

ზურებიანი 2010 – ლ. ზურებიანი, თარგმ., ფ. ვარგასი, „წამოდექით მიცვალებულებო!“, თბილისი.

ზურებიანი 2013 – ლ. ზურებიანი, თარგმ., გაბრიელ გ. მარკესი, „სამშაბათის სიესტა“, თბილისი.

ზურებიანი 2014 – ლ. ზურებიანი, თარგმ., გაბრიელ გ. მარკესი, „ძალიან მოხუცი კაცი უშველებელი ფრთებით“, თბილისი.

„თბილისელები“ – ჟურნ. „თბილისელები“, N 31 2005; N 37. 2007; N34. 2008; NN 11, 25. 2009; N 23. 2013; NN 27, 32, 35, 49. 2014.

იასაღაშვილი 1960 – ალ. იასაღაშვილი, „მგლის ბილიკი“, თბილისი.

„იდუმალეების სამყაროში“ – გაზ. „იდუმალეების სამყაროში“, N 11. 2007.

მაისურაძე 1972 – ე. მაისურაძე, „დაკარგული ოცნებები“, თბილისი.

„რეიტინგი“ – ჟურნ. „რეიტინგი“ NN 22, 23. 2008; N 48. 2009; NN 3, 10. 2011; N 44. 2012; N 50.2013; NN 2, 5. 2014.

„სალიტერატურო გაზეთი“ – გაზ. „სალიტერატურო გაზეთი“, N 5. 1997.

„სარკე“ – ჟურნ. „სარკე“ N 19. 2004; N 41. 2006; N 23, 36, 50. 2007; NN 15, 34, 36, 44, 46, 2008; NN 10, 11, 13, 14, 48. 2009; N 40. 2010; NN 19, 31, 35, 39. 2011; N 20. 2012; N 3. 2014; NN 8, 21, 22, 34, 37. 2014; NN 5, 7, 17. 2015.

„TV პროგრამა“ – გაზ. „TV პროგრამა“ N 12. 2000; N 49. 2007.

ფავლენიშვილი 2010 – ნ. ფავლენიშვილი, თარგმ., ჩარლზ კ. სნოუ, „სიკვდილი იალქნის ქვეშ“, თბილისი.

შარია 1971 – პ. შარია, თარგმ., მ. რიდი, 2, „ოცეოლა“, თბილისი.

ჩიქობავა 2010 – გ. ჩიქობავა, თარგმ., ჟორჟ სიმენონი, „ყვითელი ძაღლი“, თბილისი.

ხურციძე 2002 – მ. ხურციძე, „დაგესლილი სიყვარული“, თბილისი.

Vakhtang Maghradze

On the Use of the Postposition -ze and -ši

Summary

In the verbal and written Georgian literary language postpositions are often misused. Despite the fact that the postpositions have their own defined functions it is tried to give them the functions of other postpositions (in some cases through the loan translation). It contributes to narrowing the scope of the certain postpositions and producing improper forms in the language.

Because of the influence of the Russian language the postposition **-ši** is often used instead of the postposition **-ze** e. g. **magistraturaze/doktoranturaze** sčavlobs (He is studying to get MA/PhD degree), **vilaze** ešumra (He visited his mansion), **binaze** daxvda (It was left in the apartment), **plantaciaze** mušaobs (He works in the plantation), **ķubaze** daisvena (He had his holiday in Cuba)... The correct forms are as follows: **magistraturaši/doktoranturaši** sčavlobs, **vilaši** ešumra, **binaši** daxvda, **plantaciaši**, **ķubaši** daisvena...

When connecting lexemes and formants to each other it is necessary to take the specific characteristics of a language into consideration and observe the unified standards.